7845/3-64/22 2 30082022

**7845/3-64/22**
**30-08-2022**

საქართველოს კულტურის, სპორტისა

და ახალგაზრდობის მინისტრს

თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია გელათის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადის შესახებ.

გარდა ამისა:

როგორც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, გელათის კედლის მხატვრობის რესტავრაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გასაწევად და შესრულებული სამუშაოების გასაცნობად, საპატრიარქოს მოწვევით საქართველოში იმყოფებოდნენ მსოფლიოში აღიარებული ცნობილი მეცნიერები ლორი ვონგი,ოსტინ ნევინი და სარა სტენიფორსი.

მკვლევარები გელათის სამონასტრო კომპლექსს ამა წლის 30 აპრილიდან 4 მაისამდე სტუმრობდნენ და ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, მათივე განცხადებით, უახლოეს მომავალში უნდა წარმოედგინათ. ამის შესახებ იუწყებოდა საპატრიარქოს ოფიციალური ვებგვერდი (https://patriarchate.ge/news/2961).

სოციალური ქსელებით ვრცელდება წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ამ დოკუმენტის შინაარსის შესახებ. ამიტომ, ამ საკითხის ჩვენი ისტორიის, კულტურის და ეთნიკური იდენტობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობიდან გამომდინარე გთხოვთ განგვიმარტოთ:

- საქართველოს კულტურის სამინისტროს აქვს თუ არა წვდომა ექსპერტების დასკვნასთან?
- და თუ აქვს - როდის იქნება ის ხელმისაწვდომი ქართველის სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნიკა მაჭუტაძე